ბრძანება:**ბ34. 342622265**

თარიღი:**10/08/2026**

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების

დოკუმენტის (პირველი ვარიანტი) მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ა“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 76-ე მუხლის, „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების დანართი N4-ის, „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 28 თებერვლის N ბ34. 342606122 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის (პირველი ვარიანტი) გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. მოწონებულ იქნას „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 28 თებერვლის N ბ34. 342606122 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი (პირველი ვარიანტი)“ დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან 1

(ერთი) თვის ვადაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

გოგი აბუაშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი